სწავლების მეთოდიკა
Methodic of Teaching

ესთეტიკური ინტელექტი და მხატვრული ლიტერატურის ფუნქცია ენის სწავლებაში

ნინო დონდოლაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
ელ.ფოსტა: Nino.dondoladze@bsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.24
SJIF 2026: 8.679

სტატია ეხება მხატვრული ლიტერატურის გამოყენების მნიშვნელობას ენის სწავლების პროცესში. სტატიაში აღნიშნულია, რომ მხატვრული ლიტერატურა ენის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი სფეროა. იგი ავთენტური მასალაა და ამდენად შემსწავლელისთვის საინტერესო. ამავე დროს მხატვრული ლიტერატურა რესურსია, საიდანაც კულტურულ ინფორმაციას მოიპოვებს მკითხველი. იგი ფილოსოფიური შეხედულებების გამომხატველია, რაც პიროვნების ზრდას უწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები თითქმის ყოველთვის ამოღებულია დღევანდელი ენის ზოგადი კურსის სილაბუსებიდან. სტატიაში მხატვრული ლიტერატურის შესწავლის მნიშვნელობა განხილულია ჰაუად გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის ჭრილშიც. ვასაბუთებთ, რომ მხატვრული ლიტერატურა თავისი სპეციფიკით მასალაა, რომელიც სხვადასხვა განსხვავებული ინტელექტის მქონე მოსწავლის საჭიროებებზეა გუნებრივად მორგებული, მათ შორის განსაკუთრებული დანიშნულებისაა ესთეტიკური ინტელექტი, რომელიც ცალკე გამოყოფილი არ არის გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაში, თუმცა მიმოფანტულია და მოიაზრება სხვადასხვა ინტელექტის სფეროში. ესთეტიკური ინტელექტის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო პიროვნების განვითარებაში, ვთვლით, რომ ესთეტიკური ინტელექტი ცალკე უნდა დაემატოს ან ქვეპუნქტად უნდა გამოიყოს ცალკეულ ინტელექტში და ასე შევიდეს გარდნერის მიერ შექმნილი ინტელექტების ჩამონათვალში. ამ კონტექსტში კიდევ ერთხელ ახსნილია მხატვრული ლიტერატურის, როგორც ვერბალური ხელოვნების, როლი ესთეტიკური ინტელექტის განვითარებაში.

მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების დამატება ადვილად შეიძლება უკვე შემუშავებული უცხო ენის სილაბუსზე. ეს საშუალებას მისცემს მასწავლებელს გახადოს სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და დააკმაყოფილოს იმ მოსწავლეთა ინტერესი,

ვისთვისაც ხელოვნება უპირველესი მნიშვნელობის საგანია, გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია და დაეხმაროს ყველა ტიპის მოსწავლეს ლინგვისტურ-ესთეტიკური ინტელექტის განვითარებასა და ენის შესწავლაში.

საკვანძო სიტყვები: ესთეტიკური ინტელექტი, ლიტერატურა, ენის სწავლება, მრავალმხრივი ინტელექტი

...ადამიანს არ შეუძლია სილამაზის გარეშე ცხოვრება...
ალბერ კამიუ
,,ელენეს გადასახლება“

ენის ფუნქციონირების ერთერთი მნიშვნელოვანი სფეროა მხატვრული ლიტერატურა. ამიტომ, ბუნებრივია, ჩნდება თვალსაზრისი, რომ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები ისწავლებოდეს უცხო ენის და ზოგადად ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე. დღევანდელი ენის კურსებში (ვგულისხმობ უცხო ენის ზოგად კურსს, როგორც სასკოლოს, ასევე საუნივერსიტეტოს და ზრდასრულთა) შედის სხვადასხვა ტიპის ტექსტი – სტატია, დიალოგი, რეკლამა, ბევრი ავთენტურ ტექსტიც მათ შორის, მაგრამ არ არის ლიტერატურა. უცხო ენის ზოგიერთ სახელმძღვანელოს ახლავს მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები (დამატებით საკითხავი მასალა), მაგრამ, ძირითადად, ლიტერატურის შესწავლის წილი უცხო ენის კურსში დღეს თითქმის არასდროს არის გათვალისწინებული.

მხატვრული ლიტერატურა, თავისი მრავალმხრივი ფუნქციით საინტერესო შესასწავლი წყაროა უცხო ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე. ლიტერატურული ტექსტი, როგორც ასეთი, გარდა იმისა, რომ ლექსიკის გამდიდრების საშუალებაა, საინტერესოა ენის შემსწავლელისთვის (ენის შემსწავლელში ვგულისხმობ როგორც სკოლის მოსწავლეს, ასევე სტუდენტს და ნებისმიერ ზრდასრულ ენის შემსწავლელს), რადგან ავთენტურია. გარდა ამისა, მხატვრული ტექსტი არის წყარო, რომელიც მრავალ საინტერესო კულტურულ ინფორმაციას შეიცავს და საშუალებას აძლევს ენის შემსწავლელს გაიმდიდროს ცოდნა იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ეს ტექსტი შეიქმნა. მხატვრული ლიტერატურის შესწავლა მნიშვნელოვანია ფილოსოფიური თვალსაზრისითაც და შეუძლია ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარებას [Collie, Slater, 2001:3]. მხატვრულ ტექსტზე მსჯელობას შეუძლია განუვითაროს ნებისმიერ მოსწავლეს/შემსწავლელს აზროვნების უნარები. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი მიზეზებიც, რის გამოც მხატვრული ლიტრატურა სასურველია ისწავლებოდეს ენის გაკვეთილზე – ლიტერატურა, როგორც ვერბალური ხელოვნება, ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. მხატვრული ლიტერატურის ეს ფუნქცია თავის მხრივ , ორი მთავარი მიზეზის გამოა გასათვალისწინებელი ენის სწავლებისას: 1. მეტნაკლებად ყველა ადამიანს აქვს ზოგადად სილამაზესთან და ამიტომ ხელოვნებასთან ურთიერთობის მოთხოვნილება; 2. ესთეტიკური აღქმის და შეფასების უნარები ვითარდება და მხატვრულ ლიტერატურას შეუძლია მათი განვითარება.

ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე ლიტერატურის ფუნქციაზე მსჯელობისას, საინტერესოა მხატვრული ლიტერატურის სწავლებას მასწავლებელთა შორის დღემდე პოპულარულ, ცნობილი ამერიკელი განათლების ფსიქოლოგის ჰაუად გარდნერის

მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის ჭრილში შევხედოთ. ეს თეორია ჰ. გარდნერმა პირველად გამოაქვეყნა 1983 წელს თავის წიგნში ,,გონების ჩარჩოები: მრავალმხრივი ინტელექტის თეორია". გარდნერის თეორიის მიხედვით, ადამიანს აქვს სხვადასხვა ტიპის ინტელექტი, რომლებიც მუდმივად შეიძლება განვითარდეს. ჰ. გარდნერი წერს: ,,As the earlier quotations from Robert Nozik reminds us, there may be "dumb" capacities at the centre of intelligence; but it is equally true that these capacities must be made "smarter" if one is successfully to interact with the surrounding society." [Gardner, 1993:297]. გარდნერის განმარტებით, მის მიერ დასახელებული ინტელექტის სახეები მეტნაკლებად განვითარებული სახით ჩადებულია ყველა ადამიანში და ადამიანი მას გამოიყენებს ინფორმაციის დასამუშავებლად, პრობლემის გადაჭრისა და ღირებული პროდუქტის შესაქმნელად. ინტელექტის მის მიერ განახლებულ განმარტებაში გარდნერი წერს: Intelligence is „...biopsychological potential to process information that can be activated in a cultural setting to solve problems or create products that are of value in a culture" [Gardner, 1999:28]. ეს განმარტება ფრაზის "biopsychological potential" გამოყენებით ხაზს უსვამს, რომ ინტელექტის გააქტიურება შესაძლებელია.

თავდაპირველად გარდნერმა გამოყო შვიდი ინტელექტი: ლოგიკურ-მათემატიკური (ლოგიკურად აზროვნების და მათემატიკური ოპერაციების შესრულების უნარი), მუსიკალური (რიტმის, ტონალობის, მელოდიის აღქმის, მუსიკის შეთხზვის უნარი), ლინგვისტურ - ენობრივი (სიტყვების, ენის ოსტატურად გამოყენების უნარი წერასა და საუბარში, კითხვის კარგი უნარი), სივრცული (სივრცის აღქმის, რუკების გაგების, ვიზუალურად აღქმის უნარი), სხეულებრივ-კინესთეტიკური (სხეულის სწრაფად და მოქნილად გამოყენების და კონტროლის, კოორდნაციის უნარი, შეხების შეგრძნების უნარი), ინტერპერსონალური (ემპათიის უნარი, სხვა ადამიანების გაგების და მათთან ურთიერთობის უნარი) და ინტრაპერსონალური (საკუთარ თავზე დაკვირვების, თვითშემეცნების, საკუთარი სურვილების და გრძნობების გაგების უნარი [Gardner: 2011, 77-251]. ეს უკანასკნელი შეადარეთ დ. გურამიშვილის ,,ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო" [გურამიშვილი, 2021:10]). გარდნერი არ თვლიდა, რომ ეს ჩამონათვალი სრული იყო და დაუშვა, რომ მომავალში სხვა მკვლევარები დაამატებდნენ ახალ ინტელექტს. გარდნერი თავად წერს, რომ ერთერთმა კოლეგამ შესთავაზა მას დაემატებინა ციფრული ინტელექტი გარდნერის მიერ დასახელებული ინტელექტების ჩამონათვალისთვის. კოგნიტურმა ნეირომეცნიერმა მიქაელ პოზნერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საჭირო იყო ყურადღების, როგორც ინტელექტის დამატება [Gardner, 2011:XXI]. თავად გარდნერმა დაამატა თავის ჩამონათვალს მერვე ინტელექტიც, ნატურალისტური (ბუნებისა და ველური გარემოს ელემენტების ცნობის და გაგების უნარი [Gardner, 1999:47-49]). გარდნერმა დაუშვა, რომ შესაძლებელი იყო პედაგოგიური ინტელექტის გამოყოფაც. თუმცა. , როგორც თავად აღნიშნა, აღარ ჩაუღრმავდა ამ საკითხს , რადგან ჯერ ერთი, იგი იმჟამად განსხვავებული საკითხებით იყო დაინტერესებული და გარდა ამისა, თვლიდა, რომ, ალბათ, მისი თეორიის გადახედვა და სიახლეების, შესწორებების შეტანა უფრო მეტად უკვე სხვა მეცნიერების საქმე იყო [Gardner, 2011:XX]. გარდნერმა ინტელექტის შესაძლო ვარიანტად დაასახელა სულიერი (თუმცა აღარ ჩათვალა, რომ საჭირო იყო სულიერი ინიტელექტის დამატება) და მორალური ინტელექტიც

[Gardner, 1999:47]. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება მეცხრე, ეგზისტენციური ინტელექტის დამატების შესაძლებლობის შესახებაც [Gardner, 1999:60-64]. ეგზისტენციური ინტელექტის მქონე ადამიანებს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ შეისწავლონ ფილოსოფია. მათ აქვთ უნარი დაფიქრდნენ და გაიაზრონ ეგზისტენციის ფუნდამენტალური საკითხები, როგორიცაა სიცოცხლის მნიშვნელობა და ადამიანის ადგილი სამყაროში. გარდნერმა ეგზისტენციურ ინტელექტს თავისი სპეციფიკის გამო ბოლომდე არ უწოდა ინტელექტი და აღნიშნა, რომ ეგზისტენციური ინტელექტის დამატებით 8,5 ინტელექტი გაჩნდა მის სიაში [Gardner, 1999:66]. თუმცა, გარდნერს არც ამ ინტელექტის არსებობა და ფუნქციები შეუსწავლია ბოლომდე, რადგან ახლა უკვე თვლიდა , რომ საბუნებისმეტყველო ინტელექტის აღმოჩენით საბოლოოდ დაასრულა მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაზე მუშაობა.

როგორც გარდნერის თეორიიდან ჩანს, ადამიანს აქვს არა მხოლოდ ერთი, ზოგადი, არამედ სხვადასხვა ტიპის ინტელექტი. თითოეულ შემსწავლელს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ინტელექტიდან რომელიღაც უფრო მეტად აქვს განვითარებული და ეს არის მისი ძლიერი მხარე. სწავლების პროცესში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მოსწავლის (მოსწავლეში ვგულისხმობ ყველა შემსწავლელს) ძლიერი მხარე – ყველაზე უკეთ განვითარებული ინტელექტი, როგორც საშუალება მისი მოტივაციის გაზრდისა და სწავლების ეფექტიანად წარმართვისთვის.

3. გარდნერის თეორია ბევრმა გააკრიტიკა სხვადასხვა მიზეზის გამო. ზოგიერთს თავად ინტელექტის გარდენრისეული განმარტება არ მოეწონა. გარდნერი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში იგონებს თუ როგორ დაიწუნა ეს განმარტება ერთერთმა არაკეთილგანწყობილმა კრიტიკოსმა, როცა აღნიშნა: ,,Trying to change psychology's definition of intelligence is like trying to move gravestones in a graveyard." [Gardner, 1999:XI]. გამოითქვა მოსაზრებები, რომ, არ არსებობს საკმარისი ემპირიული საფუძველი გარდნერის თეორიისთვის, რომ რთულია ინტელექტის შეფასება და რომ, რასაც გარდნერი ინტელექტს უწოდებს, სხვა არაფერია, თუ არა ტალანტი, უნარი [Metzler, 2026]. მიუხედავად ამისა, მრავალმხრივი ინტელექტის თეორია პრაქტიკული თვალსაზრისით საჭირო, მოსწავლეზე მორგებული თეორია აღმოჩნდა. რაც მთავარია, ითვლება, რომ, ეს თეორია ადამიანის უნიკალურობას უსვამს ხაზს და იგი დღემდე რჩება საშუალებად, რომელსაც წარმატებით იყენებენ მასწავლებლები მოსწავლეზე/სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში.

რაც შეეხება გარდნერის თეორიის და მხატვრული ლიტერატურის მიმართებას, მხატვრულ ტექსტი გარდნერის თეორიის ჭრილშიც საინტერესო რესურსია, რადგან ბუნებრივად, თავისი არსებითი თვისებების გამო მორგებულია სხვდასხვა ინტელექტის მქონე მოსწავლის საჭიროებაზე და კარგი მხატვრული ნაწარმოების გააზრებულ წაკითხვასაც კი მხოლოდ, რომ არაფერი ვთქვათ მრავალფეროვანი დაგეგმილი აქტივობების საშუალებით მიღწეულ შედეგებზე, შეუძლია მოსწავლეს მეტნაკლებად განუვითაროს თითქმის ყველა სახის ინტელექტი (ლინგვისტური, ლოგიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, გარკვეულწილად სივრცული (მაგალითად, გრაფიკული ნაწარმოების ან კომიქსის შემთხვევაში), მუსიკალური (განსაკუთრებით პოეზიის შესწავლისას) და საბუნებისმეტყველო (შესაბამისი შინაარსის მქონე

მხატვრული ტექსტის შემთხვევაში.). ეს კიდევ ერთი მიზეზია თუ რატომ არის მიზანშეწონილი შეისწავლებოდეს ლიტერატურა რაღაც წილით მაინც ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე.

..ჰ. გარდნერის თეორიის წაკითხვისას გამიჩნდა განცდა, რომ ცალკე უნდა გამოიყოს ესთეტიკური ინტელექტი. (ვგულისხმობ *ესთეტიკური მოთხოვნილების, განცდის, აღქმის, განსჯის და შეფასების, გარკვეული პრობლემის გადაჭრის და ესთეტიკური ღირებულების მქონე პროდუქტის შექმნის უნარს*). გარდნერის სიაში ტერმინი ,,ესთეტიკური ინტელექტი“ გამოყენებული არ არის. ჰ. გარდნერი იყენებს სიტყვას ,,მგრძნობელობა“ (,,sensitivity”), რომელშიც სხვა რაღაცეებთან ერთად იგულისხმება ადამიანის უნარი შეამჩნიოს, აღიქვას და განასხვავოს ესთეტიკური თვისებები და რეაგირება მოახდინოს მათზე. გარდნერთან ესთეტიკური აღქმის, განცდის და შეფასების უნარი, ისევე როგორც ხელოვნების ნიმუშის შექმნის უნარი, სხვადასხვა ინტელექტის შემადგენელ ნაწილებადაა წარმოდგენილი, მიმოფანტულია და იგულისხმება. *ესთეტიკური ინტელექტის დიდი მნიშვნელობის გამო ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში,* ვფიქრობ, რომ გარდნერის მიერ გამოყოფილ 8 ინტელექტს ან ცალკე უნდა დაემატოს ესთეტიკური ინტელექტი ან ქვეპუნქტად გამოეყოს უკვე დასახელებულ თითოეულ ინტელექტს (და მაშინ შეიძლება ეწოდოს, ვთქვათ, ერთერთს ლინგვისტურ-ესთეტიკური ინტელექტი). ეს დადებითი ცვლილების მომტანი იქნება, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ესთეტიკური ინტელექტის განვითარება სასწავლო პროცესში უგულებელყოფილია.

ზოგადად, ესთეტიკური განათლება, ესთეტიკური აღქმის და შეფასების უნარის განვითარება რომ მნიშვნელოვანია, ამის შესახებ შორეული წარსულიდან დღემდე უამრავი რამ დაწერილა. მოვიყვან მხოლოდ მეოცე საუკუნის მოაზროვნის, ინგლისელი ხელოვნებისა და ლიტერატურის კრიტიკოსის, პოეტ ჰერბერთ რიდის მოსაზრებას, რომელიც მან გამოთქვა წიგნში „განათლება ხელოვნების მეშვეობით“ (Education Through Art). რიდი აღნიშნავს, რომ მხატვრული და ესთეტიკური განათლება არ ნიშნავს მხოლოდ მხატვრული ტექნიკის ათვისებას და რომ ესთეტიკურ განათლებას შეუძლია წვლილი შეიტანოს მთლიანი პიროვნების განვითარებაში [Read, 1943:7]. ესთეტიკური ინტლექტის განვითარების კონტექსტში მაგონდება სხვა შემთხვევაც ერთერთი იაპონური საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელსაც სახვითი ხელოვნების შესწავლის გაძლიერებული პროგრამა ჰქონდა. სკოლის ერთერთმა სტუმარმა დირექციის წარმომადგენელს ჰკითხა მოელოდნენ თუ არა ისინი , რომ ამ სკოლის ყველა კურსდამთავრებული მხატვარი გახდებოდა. დირექტორმა სტუმარს აუხსნა , ყველა პროფესიონალი მხატვარი ვერ გახდება, მაგრამ თუ ასფალტის დაგება მოუწევს, აუცილებლად ლამაზად დააგებსო.

უცხო ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე ლინგვისტური და ესთეტიკური ინტელექტის ერთდროულად განვითარების საუკეთესო გზაა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებზე მუშაობა. ენის სწავლების პროცესში სტუდენტს/მოსწავლეს ჭირდება გაეცნოს ენის გამოყენების მიმზიდველ, საინტერესო და სუბიექტურ ნიმუშებს, სილამაზეს გამოვლინებულს ვერბალურ ფორმაში. ასეთი ნიმუშები ეხმარება მოსწავლეს ენის შეგრძნების განვითარებაში და მათი მოპოვება შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, მხატვრულ ლიტერატურაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე მხატვრულ ტექსტი, როგორც ვერბალური ხელოვნების ნიმუში,

სასიცოცხლო უნარების, ლინგვისტური და ესთეტიკური ინტელექტის განვითარების ყველაზე ეკონომიური საშუალებაა.

.. მოსწავლეებს განსხვავებული სწავლის სტილი და ინტერესები აქვთ და მიუხედავად იმისა, ცალკე გამოვყოფთ თუ არა გარდნერის თეორიაში ესთეტიკურ ინტელექტს, ქვეპუნქტად გამოვყოფთ და ერთერთ მათგანს ვუწოდებთ ლინგვისტურ-ესთეტიკურს, გავაერთიანებთ თუ არა ესთეტიკურ ინტელექტს ეგზისტენციურთან და დავარქმევთ ხელოვნების ინტელექტს, რეალობად რჩება ის, რომ ნებისმიერ მოსწავლეს გარკვეულწილად ჭირდება ესთეტიკური განცდა (ამის უნარი ჩადებულია ყველა ადამიანში), მაგრამ ზოგიერთ მოსწავლეს ამ განცდის ხელოვნების ნიმუშის საშუალებით მიღების განსაკუთრებული მოთხოვნილება აქვს. ლიტერატურულ ტექსტთან ურთიერთობა ასეთი მოსწავლის ინტერესებზეა მორგებული. როცა უცხო ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე მხატვრული ლიტერატურის ნიმუში საერთოდ არ შეისწავლება, ბევრი მოსწავლისთვის პროცესი ხდება უღიმღამო და მხოლოდ ფაქტის მიწოდებაზე ორიენტირებული. არიან მოსწავლეები და სტუდენტები, ვისაც ლიტერატურა არ აინტერესებს და ვერბალური ხელოვნების ნიმუშით ესთეტიკური განცდის მიღების უნარიც სუსტად აქვს განვითარებული. ამ შემთხვევაში ადამიანს შეუძლია გააქტიუროს იგი საკუთარ თავში. ენის სწავლების პროცესში მასწავლებლის ხელშეწყობა და მოსწავლის თუ სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული მხატვრული ტექსტები წარმოადგენს შესაძლებლობებს, რომლებიც ენის შემსწავლელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ესთეტიკური ინტელექტის განვითარებისთვის.

როგორც გამოცდილებით და მოსწავლეთა და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებით დავინახე, მხატვრული ლიტერატურის შესწავლას ზოგადი უცხო ენის კურსში ბევრი კარგი შედეგი მოაქვს. ვერბალური ხელოვნების ნიმუშებზე მუშაობა საბოლოოდ ლექსიკური მარაგის გამდიდრებასთან, საკუთარ თავში ჩაღრმავების უნარის, ენის შეგრძნების განვითარებასა და სხვა მრავალ დადებით შედეგთან ერთად, იწვევს მოსწავლის/სტუდენტის მოტივაციის გაზრდას ენის შესწავლის პროცესში, მხატვრული ლიტერატურის მიმართ ინტერესის გაზრდას (თუნდაც სუსტის, ზოგიერთ შემთხვევაში), ტექსტსა და. მწერლის სტილზე დაკვირვების, ყურადღებით კითხვის, ესთეტიკური აღქმის და შეფასების უნარების განვითარებას.

მოკლედ რომ ვთქვათ, ესთეტიკურ ინტელექტს ზოგადად, მათ შორის ლინგვისტურ-ესთეტიკურს ჭირდება განვითარება. მხატვრული ლიტერატურას, როგორც ვერბალური ხელოვნების სახეს, ყველაზე უკეთ შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება ენის სწავლების პროცესში და ამიტომ ლიტერატურა გარკვეულწილად უნდა შედიოდეს ენის კურსში. თუმცა, საკითხის ასე დასმა უკავშირდება პრობლემას, რომელიც ლიტერატურის სწავლების პროცესში ჩნდება. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ლიტერატურის შესწავლისას ხშირად ყურადღება ექცევა მხატვრული ტექსტში ფორმალური სტრუქტურების ამოცნობასა და ანალიზს და მნიშვნელოვანწილად იკარგება ერთერთი მთავარი, რის გამოც ლიტერატურა, როგორც ხელოვნების ერთერთი სახე იქმნება--ესთეტიკური მხარე (ამ კონტექსტში ისევ შეიძლება ზემოთ მოყვანილი ჰერბერთ რიდის მოსაზრების გახსენება). არის შემთხვევები, როცა გაკვეთილსა თუ სემინარზე არ ხდება მხატვრული ნაწარმოებით შექმნილ ესთეტიკურ ზეგავლენაზე, მკითხველში გაჩენილ განცდაზე დაკვირვება. როგორც ავღნიშნეთ, ერთერთი მნიშვნელოვანი, რაც უნდა

მოხდეს მხატვრული ტექსტის გაცნობისას, მოსწავლისა თუ სტუდენტის მიერ მისი ესთეტიკური მხარის დანახვა, შეგრძნებაა. მკითხველი აკვირდება ტექსტით მოტანილ განცდას, ზეგავლენას და ამის შემდეგ იწყება ანალიზი თუ რამ შექმნა ეს პირველი ეფექტი. უცხო ენის გაკვეთილსა თუ სემინარზე, მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს სტუდენტს/მოსწავლეს დააკვირდეს და ამოიცნოს ტექსტით შექმნილი შთაბეჭდილება, განცდა (აქ, ჩემი დაკვირვებით, თავად განცდაში რა მოიაზრება, ისიც უნდა დაუზუსტოს მასწავლებელმა მოსწავლეს/სტუდენტს), რომელიც მასთან ვერბალური ხელოვნების ნამდვილ ნიმუშს მოაქვს მარტივი შეკითხვების დასმით. შეკითხვა შეიძლება იყოს: რა განცდა მოიტანმა ლექსმა? რომელი ხატი დაგრჩა გონებაში? რა გრძნობა გააღვიძა შენში ამ სცენამ? და სხვ. ამგვარი შეკითხვებით სხვა საშუალებებთან ერთად შეუძლია მასწავლებელს დაეხმაროს მოსწავლეს/სტუდენტს შეჩერების და ტექსტის მოსმენის უნარის გამომუშავებაში. ტექსტის ანალიზი, როგორც უკვე ავღნიშნე, შემდეგი საფეხურია.

უფრო ვრცლად ლიტერატურის სწავლების შესახებ მიდგომების და აქტივობების განხილვა, ვფიქრობ, ცალკე სტატიის თემაა. დავამატებდი მხოლოდ, რომ, მხატვრული ლიტერატურის სწავლების ჩართვა უცხო ენის სასწავლო კურსში არ ნიშნავს ზოგადი ენის კურსის გადატვირთვას სასწავლო მასალით. ლიტერატურის დამატება შეიძლება სულ უბრალოდ მოხდეს, კვირაში ან ორ კვირაში (ამას მასწავლებელი განსაზღვრავს) ერთხელ მცირე ზომის ლიტერატურული ტექსტის შესწავლით ან საშინაო საკითხავი მასალის დამატებით. შესაძლოა, თავად მასწავლებელმა წაუკითხოს მოსწავლეს/სტუდენტს, ვთქვათ, ლექსი და ამ გზით დაეხმაროს გამოუმუშავოს ლინგვისტურ-ესთეტიკური ინტელექტი. და კიდევ ერთი შენიშვნა: რადგან ესთეტიკური ინტელექტის ასამაღლებლად უცხო ენის გაკვეთილზე სრული ტექსტებია საჭირო და არა ადაპტირებული (ეს უკანასკნელი არსებითად უკვე სხვა ტექსტია განსხვავებული ენით და მასში ორიგინალიდან, როგორც წესი, მხოლოდ სიუჟეტია შენარჩუნებული), როცა შემსწავლელს არ შეუძლია უცხო ენაზე შექმნილი ნებისმიერი ავთენტური ტექსტის გაგება ენის ფლობის დაბალი დონის გამო, კითხვის პროცესის გაადვილება შესაძლებელია ლექსების და მოკლე ნოველების ან ზღაპრების ლექსიკური თვალსაზრისით მარტივი ნიმუშების შერჩევით.

მხატვრული ლიტერატურა თავისი მრავალი ფუნქციით, მათ შორის იმით, რომ იგი ენის გამოყენების მნიშვნელოვანი სფეროა და ამავე დროს შეუძლია ესთეტიკური ზეგავლენა მოახდინოს ადამიანსა და მის პიროვნებაზე, ეკონომიური საშუალებაა სწავლების პროცესის სტუდენტების/ მოსწავლეების ინტერესებზე მორგებისა და მათი ესთეტიკური და ლინგვისტური ინტელექტის განვითარებისთვის. ამიტომ ვფიქრობ, რომ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები ენის ზოგადი კურსის ფარგლებში უნდა შეისწავლებოდეს.

ლიტერატურა:

1. **გურამიშვილი დ.,** – ,,დავითიანი“. თბილისი: გამომცემლობა ,,პალიტრა“. 2021. გვ.352
2. Camus A., **O'Brien Justin (Translator), – The Myth of Sisyphus, and Other Essays. New York: Vintage Books. 1991, 170 გვ.**
3. **Collie J., Slater S.,** – Literature in the Language Classroom, A resource book of ideas and activities. Cambridge: Cambridge University Press. 2001. 279 გვ.

4. **Gardner H.,** – Frames of Mind, The Theory of Multiple Intelligences. New York: BasicBooks. 1993. 481 გვ.
5. **Gardner H.,** – Frames of Mind : The Theory of Multiple Intelligences. New York: Basic Books. 2011. 529 გვ.
6. Ganrdner H., **– Intelligence Reframed - Multiple Intelligences for The 21st Century. New York: Basic Books. 1999. 283 გვ.**
7. **Gardner H.,** – Multiple Intelligences, The Theory in Practice, A Reader. New York: Basic Books. 1993. 403 გვ.
8. Metzler, M., **– Gardner's Theory of Multiple Intelligences, (ელექტრონული რესურსი): https://www.simplypsychology.org/multiple-intelligences.html. მოპოვებულია 29.08.2026**
9. **Read H.,** – Education Through Art. New York: Pantheon Books, A Division of Random House. 1943. 422 გვ.

Nino Dondoladze
Shota Rustaveli State University
Batumi, Georgia
e-mail: Nino.dondoladze@bsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.24
SJIF 2026: 8.679

Aesthetic Intelligence and Function of Literature in the Language Classroom

Abstract

The article examines the significance of using literature in language teaching. Literature is an important domain of language use. As an authentic source, it is inherently engaging for learners. At the same time, it serves as a resource from which readers can acquire cultural information and encounter philosophical perspectives that contribute to personal growth. Nevertheless, fiction is almost always excluded from the syllabi of contemporary language courses. The article discusses the role of teaching literature through the lens of Howard Gardner's theory of multiple intelligences. It argues that fiction, by its very nature, is *material that fosters the development of various forms of intelligence*. Of particular significance is aesthetic intelligence , which is not identified as a separate category in Gardner's framework, but is dispersed across his theory and implicitly incorporated into various intelligences. Given its special role in personal development, the author argues that aesthetic intelligence should either be identified as a distinct form of intelligence and added to Gardner's list of eight intelligences, or recognized as a subcategory of each of them. Within this context, the role of fiction as a form of verbal art in the development of aesthetic intelligence is underscored.

The author of the article indicates several ways in which literary texts can be easily incorporated into an existing foreign-language syllabus. This would enable teachers to make the learning process more engaging, cater to the interests of learners for whom art is of particular importance, increase students' motivation and help all types of learners nurture their aesthetic and linguistic intelligences.

Key words: aesthetic intelligence, literature, language teaching, multiple intelligences
რეცენზენტი: პროფესორი ლაურა ჩერნოვატი